პროლეტარიელნო, ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საქ. კ. პ. (ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ
საქ. სსრ მᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1943 წ. № 221 (6846). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲜᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲝᲗ ᲛᲖᲠᲐᲚᲐᲓ ᲮᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ და საბჭოთა მეურნეობები ზურგში დაუღალავი შრომით მზარდ დახმარებას უწევენ გმირ წითელ არმიას, რომელიც დასავლეთისაკენ ერეკება და სპობს საძულველ მტერს—გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკები ორგანიზებულად იღებენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალს და აქედანვე ზრუნავენ 1944 წლის მაღალი მოსავლის მიღებისათვის. საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღებულია საშემოდგომო ხვნა-თესვა. მომავალ წლის უხვი მოსავლის მიღების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მზრალად ხვნის სახელმწიფო გეგმის დროულად და ბაღალხარისხოვნად შესრულებას. მზრალად ხვნა მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. გამოცდილებით ცნობილია, რომ მზრალად ხნულზე დათესილი საგაზაფხულო კულტურები იწვევენ მოსავლიანობის გადიდებას 10-15 პროცენტით. მზრალად ხვნა—ეს არის საუკეთესო საშუალება მინდვრის დასარეველიანებლად და გვალვასთან ბრძოლისა, რადგან მზრალად ხვნის შედეგად ვიღებთ ნიადაგში სინესტის დაგროვებას. ამიტომ საჭიროა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად, თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ მზრალად ხვნის გეგმა. შემოდგომა საუკეთესო დროა მზრალად ხვნის ჩასატარებლად, და რაც უფრო ადრე იქნება მოხნული ნიადაგი მზრალად, საგაზაფხულო კულტურების მით უფრო უხვ მოსავალს მივიღებთ 1944 წელს.

მთელი რიგი რაიონები და კოლმეურნეობები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მზრალად ხვნას, და ამით აიხსნება, რომ ზოგან კიდევაც დაამთავრეს ეს სამუშაო. ასპინძის რაიონმა გაიმარბებით შეასრულა მზრალად ხვნის სახელმწიფო დავალება, გაძლიერებული ტემპებით სწარმოებს მზრალად ხვნა ადიგენის, ხაშურის, თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებში. მაგრამ ზოგან ყველა საშუალებებს როდი იყენებენ მზრალად ხვნის დასაჩქარებლად. საქმიწსახკომის 15 ოქტომბრის ცნობებით, მზრალად ხვნა დაწყებული არ ჰქონდათ სიღნაღის, თბილისის, მცხეთის და ყარაიის რაიონებში. შეუწყნარებლად ნელი ტემპებით მიმდინარეობს მზრალად ხვნა თელავის, ლაგოდეხის, ბაკურიანის, თეძორი წყაროს რაიონებში. ამ რაიონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები ივიწყებენ, რომ მზრალად ხვნის გეგმის შესრულება თვალსაჩინოდ აადვილებს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეწარმეო-მოქმედ ორგანოებმა შექმნილი მდგომარეობიდან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ და გადაჭრით გააძლიერონ მზრალად ხვნის ტემპები.

მზრალად ხვნის გეგმის შესასრულებლად საჭიროა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაანალდონ ხვნის ხუთდღიური დავალება, ბოსავლის აღების, ლეწვისა და თესვის სამუშაოებისაგან განთავისუფლებული ყველა ტრაქტორი და ცოცხალი გამწევი ძალა დაუყოვნებლივ გადაიყვანონ მზრალად ხვნაზე, ხვნა აწარმოონ სწრაფი ტემპებით და, რაც მთავარია, ნიადაგის გაყინვამდე. მზრალად ხვნის ამ გადამწყვეტ დღეებში უნდა უზრუნველყოთ ტრაქტორების მაღალხარისხოვნად შეასრულოს მზრალად ხვნის სახელმწიფო გეგმა. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რესურსების შემდგომი გადიდების ინტერესები, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების ამოცანები.

ტრაქტორები ზოგჯერ უქმად დგანან საწვავ-საცხები მასალისა და ნაწილების უქონლობის გამო. მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს თელავის რაიონის ახმეტის მტს-ში. რატომ ურიგდებიან ამ მტს-ების ხელმძღვანელები ტრაქტორების მოცდენას? მტს-ების დირექტორები ვალდებული არიან ყველა ზომა მიიღონ, რათა ადგილი არ ექნეს ტრაქტორების მოცდენას, ხოლო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა უნდა გაუმჯობესონ სატრაქტორო ბრიგადების ყოველდღიური მომსახურება, მოაგვარონ ბრიგადებში წყალისა და საწვავის მიტანა. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მზრალად ხვნაზე ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებას.

მზრალად ხვნის ტემპების დასაჩქარებლად საჭიროა ვიზრუნოთ მინდვრად მომუშავე ტრაქტორისტებსა და გუთნისდედებზე, მათი კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიზრუნოთ მინდვრად მომუშავე ტრაქტორისტებისა და გუთნისდედების ნორმალურ კვებაზე, მოვაწყოთ მძრავი ვაგონეტებისა და ჯიხურების დათბუნება.

გულდასმით უნდა მოვეკიდოთ ხვნის ხარისხს. ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ნიადაგი მზრალად უნდა მოხნას ნორმალურ სიღრმეზე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან ხარვეზები. აგრონომებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, ხარისხის ინსპექტორებმა თვალყური უნდა ადევნონ ხვნის ხარისხს და უზრუნველჰყონ მისი მაღალ აგროტექნიკური დონეზე ჩატარება.

მზრალად ხვნაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის უდიდეს სტიმულს ჰქმნის მატერიალური წახალისების სისტემა, რაც დაწესებულია ტრაქტორისტებისა და გუთნისდედებისათვის. „მზრალად ხვნაში მოძუშავე კოლმეურნეთათვის ავანსად მარცვლეულის მიცემა უნდა სწარმოებდეს იმ ოდენობით, რაც დაწესებულია მოსავლის აღების სამუშაოებში ჩაბმული კოლმეურნეებისათვის. კომუნისტებისა და კომკავშირელების ამოცანა სოფლად ის არის, რომ შრომის ანაზღაურების ეს წესი განუმარტონ ყოველ გუთნისდედას და მით დაინტერესონ იგი ხნულზე გამომუშავების ნორმების შესრულებით და გადამეტებით შესრულებით“, — სწერს „პრავდა“.

დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებმა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია საკოლმეურნეო სოფელში. ფართოდ გაჩაღდა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გასაძლიერებლად. კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ წინასაოქტომბრო შეჯიბრების დროშა და ახალი წარმატებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს. წარმატებით დავამთავროთ უხვი სამხედრო მოსავლის უდანაკარგოდ აღება, პირნათლად შევასრულოთ სახელმწიფო ვალდებულებანი, და მტკიცე საძირკველი ჩავუყაროთ მომავალ უხვ მოსავალს!

1944 წელს მაღალი მოსავლისათვის ბრძოლა იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყველა რაიონმა და კოლმეურნეობამ მთლიანად, თავის ეროზე და მაღალხარისხოვნად შეასრულოს მზრალად ხვნის სახელმწიფო გეგმა. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რესურსების შემდგომი გადიდების ინტერესები, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების ამოცანები.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ „ᲜᲐᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲠᲛ“ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲛᲘᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘ Ი. Ვ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ, Კ. Ი. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲡ ᲓᲐ Ა. Ი. ᲙᲝᲠᲝᲛᲝᲕᲡ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა გუშინ, 21 ოქტომბერს, გადასცა ლენინის ორდენი, ოქროს მედალი „ნამაღალი და უარ“ და სიგელი სოციალისტური შრომის მგრის წოდების მინიჭების შესახებ ამხანაგებს ი. ტ. ტევოსიანს და ა. ი. კორობოვს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ომიანობის დროის ძნელ პირობებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ხარისხოვანი და მაღალხარისხოვანი ლითონის წარმოების დარგში ყველა სახის საჭურველის, ტანკებისა, ავიაციისა და სამარი მასალისათვის, და ამხ. ვ. ვ. ვახრუშევს, რომელიც დაჯილდოებულია ომიანობის დროის ძნელ პირობებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქვანახშირის ამოღების გაძლიერების დარგში და თავდაცვითი მრეწველობის სათბობით მომარაგებისათვის (საკდესი).

ᲥᲕᲐᲜᲐᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲐ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ

ქვანახშირის მოპოვების გადიდების დარგში და სამხედრო მრეწველობის ქარხნების, მეტალურგიის, ელექტროსადგურებისა და რკინიგზის ტრანსპორტის სათბობით უზრუნველყოფის დარგში ომიანობის დროის პირობებში მთავრობის დავალებათა სანმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულ არიან:

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე ე. ტ. აბაკუმოვი, „კემეროვოგოლის“ კომბინატის კიროვის სახელობის შახტის მბრეველი ნ. ხ. ვასკინი, „შჩეკინოგოლის“ ტრესტის № 16 შახტის საყელავი მანქანის მემანქანე ე. დ. გორბუნოვი, საკ. კ. პ. (ბ) კემეროვოს ოლქკომის მდივანი ს. ბ. ზადიონჩენკო, „კუზბასუგოლის“ კომბინატის შახტ „ზიმუნაკის“ უფროსი მ. პ. კოსოგოროვი, ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე დ. გ. ონიკა, აკადემიკოსი, მოსკოვის სტალინის სახელობის სამთო ინსტიტუტის პროფესორი ა. მ. ტერპიგორევი, და სხვები, სულ 44 კაცი;

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ დაჯილდოებულია 234 კაცი;

„ᲡᲐᲐᲗᲐᲠᲘᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ“ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ—480 კაცი;

ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ — 489 კაცი;

ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ — 309 კაცი. (საკდესი).

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 22 ოქტომბერი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა ჯარების შტაბი გადმოგვცემს, რომ ინგლისის მერვე არმიის ნაწილები მაგრდებიან მათ მიერ დაკავებულ პოზიციებზე, ხოლო პატრულები განაგრძობენ აქტიურ მოქმედებას. ამერიკის მეხუთე არმია განაგრძობდა წინსვლას ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მიუხედავად მტრის კონტრიერიშებისა, რომლებიც მოგერიებულ იქნა. ჭტრის არიერგარდები წინააღმდეგობას სწევენ. უკანდახევისას მტრის ნაწილები დიდ ნგრევას ახდენენ. მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს პუნქტები პიედიმენტე და ალიფე.

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 22 ოქტომბერი (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ამერიკის ავიაცია თავს დაესხა აეროდრომს ევრე-ფოვილში (საფრანგეთი).

20 ოქტომბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მტრის აეროდრომის წინააღმდეგ კუნძულ როდოსზე. ბომბებით დაზიანებულია ასაფრენი გზები და ძირდასაშვები მოედნები.

მოკავშირეთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ შემრჩევ სადგურებს სკოლეში (იუგოსლავია). ბომბები პირდაპირ მოხვდა ორთქლმავლებსა და დეპოს.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲖᲔ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 22 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონში გამოცხადდა, რომ 21 ოქტომბერს ღამით მტრის თვითმფრინავების მცირე რაოდენობამ გადალახა ინგლისის სანაპირო ზოლი. ერთ-ერთ ადგილზე ერეკებოდა ინგლისელი ლოცავი. ინგლისელ ლოცავებს ერეკებოდა ინგლისელ ლოცავ-ბალონებზე ამაგრებული ფოლადის ბაგირი. ინგლისელ ლოცავ-ბალონებზე ამაგრებული ფოლადის ბაგირი

თათბირი მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხებზე

(სოხუმი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

17 ოქტომბერს ქ. სოხუმში ჩატარდა რეპუბლიკური თათბირი, რომელსაც დესპარნენ საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის რაიკომების მდივნები, რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რაიმიწგანების გამგეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, უფროსი ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, თამბაქოს, ჩაისა და ციტრუსების სპეციალისტები.

თათბირმა განიხილა ორი საკითხი: 1. მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების შესახებ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1943 წელს; 2. საშემოდგომო-საზამთრო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში 1943 წელს.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის შოადგილე მეცხოველეობის დარგში ამხ. ი. კაკალია, ხოლო მეორე საკითხზე—აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. გ. ბერულავა.

თათბირზე აღინიშნა, რომ აფხაზეთში თვალსაჩინო წარმატებები არის მოპოვებული სახოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. წვრილფეხა რქიანი პირუტყვის განვითარების სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული აფხაზეთის ასსრ ყველა რაიონში, ხოლო სოხუმისა და გულრიპშის რაიონებმა გადამეტებით შესრულეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის განვითარების გეგმა. გუდაუთის, გულრიპშისა და სოხუმის რაიონებმა თვალსაჩინო გადამეტებას მიაღწიეს ღორების სულადობის ზრდის მიმდინარე წლის სახელმწიფო დავალების შესრულებაში.

მაგრამ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, ჩამორჩენას. მაგალითად, რესპუბლიკაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დარგში გეგმა შესრულებულია 98,7 პროცენტით, მათ შორის ძროხებისა—94,8 პროც., ხოლო მუშა-პირუტყვისა—83,1 პროცენტით, ღორების სულადობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 83,5 პროცენტით, აქედან დედაღორებისა—73,5 პროცენტით, ცხვრების სულადობის დარგში შესრულება უდრის 85,7 პროცენტს. მთელი რიგი კოლმეურნეობები სერიოზულად ჩამორჩნენ მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულებაში.

აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა მუშაობა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის—ციტრუსოვანთა ნარგავებისა და ეკალიპტის რემონტის, შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. მიმდინარეობს ციტრუსოვანი პლანტაციების წესრიგში მოყვანა, მათი გაწმენდა, შემოღობვა, მზადება დაზიანებული ფართობების აღდგენისა და რემონტის ჩასატარებლად. აფხაზეთმა 15 ოქტომბრისათვის გადამეტებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა აფხაზეთში გადამეტებით შეასრულეს თამბაქოს არა მარტო შეტეხვის, არამედ ჩაბარების გეგმებიც. მაგრამ ამ მხრივ ძალზე ჩამორჩნენ სოხუმის რაიონის კოლმეურნეობები, სადაც თამბაქოს მოსავლის აღების გეგმა განაღდებულია 50,9 პროცენტით.

თათბირზე მოსმენილ მოხსენებათა გარშემო კამათში გამოვიდნენ საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ზარანდია, საქ. კ. პ. (ბ) გაგრის რაიკომის მდივანი ამხ. მ. კუპავა, საქ. კ. პ. (ბ) გულრიპშის რაიკომის მდივანი ამხ. შ. გეთია, გუდაუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. ჩერქეზია, ოჩამჩირის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. თარბა და სხვ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ყურადღება გაამახვილეს მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების საჭიროებაზე ყველა კოლმეურნეობის მიერ, საქონლის მოვლის გაუმჯობესების, მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, საქონლის გამოზამთრებისათვის საუკეთესოდ მომზადების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპებიდ შემდგომი გაძლიერებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულების საკითხებზე.

თათბირზე სიტყვა წარმოსთქვა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მეცხოველეობის ზრდა უნდა სწარმოებდეს ყველა სექტორის მიხედვით. ზოგან ცუდი მოვლის შედეგად ადგილი აქვს საქონლის სიკვდილიანობას. ეს მდგომარეობა ახლავე უნდა აღიკვეთოს. გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული აგრეთვე პირუტყვის დატაცების წინააღმდეგ, რასაც ადგილი აქვს აფხაზეთის ზოგიერთ კოლმეურნეობაში. საჭიროა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, რაც მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს. ოჩამჩირის, გუდაუთის, გალის რაიონების ხელმძღვანელებმა სწრაფად უნდა გამოასწორონ ჩამორჩენა თივის აღებაში. ამხ. მგელაძე ვრცლად შეჩერდა თამბაქოს მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის მისი ჩაბარების საკითხზე. მიუთითა, რომ თამბაქოს შეტეხვის ტემპები ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. მოსავლის აღებისა და ჩაბარების საქმეში გამოყენებული არ არის ყველა შესაძლებლობა. ფარდულებიდან სწრაფად უნდა გავიტანოთ უკვე დამზადებული თამბაქო და ჩავბაროთ საფერმენტაციო ქარხნებს, თამბაქოს ხარისხის მტკიცედ დაცვა—საბრძოლო ამოცანაა. წარმატებით უნდა შევასრულოთ თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმა.

ამხ. მგელაძემ თათბიოის ყურადღება გაამახვილა მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე.

თათბირს დაესწრო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. ბაქრაძე.

ზუგდიდის რაიონმა ვადამდე შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 7.491.860 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გეგმის 100.1 პროცენტი.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი ბ. ჩაჩიბაია

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. საჯაია

ამბროლაურის რაიონმა ყურძნის დამზადების გეგმა შეასრულა

ამბროლაურის რაიონმა 19 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს ჩაბარა 9.169 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად 9.000 ცენტნერისა, გეგმის 101,8 პროცენტი. ყურძნის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის მდივანი პ. ჭიჭინაძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მასხარაშვილი

ახალი მოსავლის თამბაქო ლენინგრადისა და როსტოვის ფაბრიკებს

სოხუმი. სოხუმის საფერმენტაციო ქარხანამ ახალი მოსავლის თამბაქოს პირველი პარტია გაუგზავნა ლენინგრადის თამბაქოს ფაბრიკებს. გაგზავნილია 10 ვაგონი თამბაქო როსტოვისა და თბილისის თამბაქოს ფაბრიკებისათვის. გასაგზავნად მზადდება აფხაზეთის თამბაქოს დიდი პარტია. (საქდესი).

კოლმეურნეობათა კეთილმოწყობა

ხაშური. ხაშურის რაიონის კოლმეურნეები ახორციელებენ თავიანთ კოლმეურნეობათა კეთილმოწყობის ღონისძიებებს. წითელი ფრონტელის ცოლის ვერა გელაშვილის ინიციატივით სოფ. ჩუმათელეთის კოლმეურნეობის 20 სახლში სურამიდან გაყვანილია ელექტრონი.

სოფ. ტყოცის არტელ „წითელი ლაშქრის“ კოლმეურნეებმა თავიანთი ძალებით გაიყვანეს წყალსადენი. (საქდესი).

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ

კალინინის სახელობის თბილისის ქარხნის კოლექტივი თავდადებით იბრძვის წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ქარხანამ, რომელმაც III კვარტალის გეგმა 125,9 პროცენტით შეასრულა, პროდუქციის თვითღირებულება 3,1 პროცენტით შეამცირა და მნიშვნელოვანი რაოდენობით გასწია ნედლეულისა და ელექტროენერგიის ეკონომია, ოქტომბერში კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა. მესამე საამქრომ, რომელიც ჩაბმულია წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ოქტომბრის ორი დეკადის გეგმა 145 პროცენტით შეასრულა. სამაგალითოდ მუშაობს ფრონტელის ცოლი ამხ. ნატაშა ნონიაშვილი, იგი შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებს 200-250 პროცენტით ანაღდებს.

შეჯიბრებაში ჩაბმული ახალგაზრდობა სტახანოვურ ვახტებზე დგება და მაღალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევს. 300-400-500 პროცენტით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებს კომკავშირელები — ძმები ვ. და ნ. პავლოვები, ა. უუკოვსკაია, ო. აგაჯანოვი, კავშირგარეშე ახალგაზრდები პ. ხუციშვილი, ი. მირზაშვილი და სხვები.

წინასაოქტომბრო სტახანოვურ ვახტზე

თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკაში ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ფაბრიკის მოწინავე მუშები, რომლებიც ჩაბმულნი არიან შეჯიბრებაში, წითელი არმიის გამარჯვებათა აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დგებიან.

წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმული ფაბრიკაში ახალმოსული მუშები—თოფჩიშვილი, გაბრილოვა, შახნაზაროვა და სხვები დღიურ ნორმებს 110-114 პროცენტით ასრულებენ.

ახალი ნარმატებებით ხვდებიან დიდ დღესასწაულს

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წამყვან საამქროებში დღითი დღე აძლიერებენ მუშაობის ტემპებს. მეოთხე საამქრო, რომელმაც სექტემბრის საწარმოო დავალება 200 პროცენტით შეასრულა, ოქტომბერში მაღალ მაჩვენებლებს იძლევა. აღნიშნულმა საამქრომ ოქტომბრის პირველი დეკადის საწარმოო გეგმა 125 პროცენტით შეასრულა. ოქტომბერში წინ მიდიან დათიაშვილისა და ეთერ უნგიაძის ბრიგადები.

ქარხნის მუშებს შორის ფართოდ არის გაშლილი წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება.

კოლმეურნის პატრიოტული საქციელი

ბათუმი. პასუხად პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებისა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისაგან განთავისუფლებული საბჭოთა რაიონების მეურნეობის აღდგენის ღონისძიებათა შესახებ, ბათუმის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ ამხ. ყარაიბ რაპიმ-ოღლიმ მისი ოჯახის კუთვნილი პირუტყვიდან გამოჰყო 10 ცხვარი განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობათათვის გადასაცემად. (საქდესი).

საკ. აღკკ XXV წლისთავისათვის

ახალ საწარმოო გამარჯვებათა ნიშნით

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომკავშირელები ფართოდ ჩაებნენ საკ. ალკკ XXV წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს — გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან მზა ქსოვილი, მოსპონ წუნი. დაეუფლონ სამხედრო-ფიზკულტურულ საქმეს ფაბრიკის კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდები წარმატებით ანაღდებენ.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს ფაბრიკის კომკავშირლებმა აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში, განმტკიცდა შრომის დისციპლინა, შემცირდა წუნდებული პროდუქცია, გაიზარდა კომკავშირელთა ავანგარდული როლი წარმოებაში. კარგად მუშაობენ სამღებროსაპარტიერო საამქროს (კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი მამულაშვილი) და მოსამზადებელი საამქროს (მდივანი ბაქრაძე). ამ საამქროში 3 კომკავშირული ბრიგადა ერთმანეთს ეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. სექტემბერში ყველა კომკავშირელმა შეასრულა გეგმა, ხოლო წუნი ნულამდე დაიყვანა. კომკავშირელები ქენია გიგაური, ლიდა ციცქაშვილი, მანია რაზმაძე, მარიამ მირონენკო და სხვები გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. აღნიშნული საამქროს კომკავშირელებმა შეაგროვეს თანხა იმ ბავშვების დასახმარებლად, რომლებმაც დედმამა სამამულო ომში დაჰკარგეს. მათ შეაგროვეს აგრეთვე წიგნები განთავისუფლებული რაიონებისათვის. რამდენჯერმე მოაწყეს შაბათობა. ფაბრიკის ეზო გაასუფთავეს და სახელმწიფოს რამდენიმე ტონა ლითონის ჯართი ჩააბარეს.

საქსოი საამქროს კომკავშირელებიც არ ჩამორჩნენ. ბქსოველები ლ. მელიქიძე, გ. მაჭარაშვილი, ალ. მომცემლიძე და სხვები საამქროს ალკკ ბიუროს მდივან ამხ. ქს. კორძაძესთან ერთად გეგმებს 110 და მეტი პროცენტით ასრულებენ. ფაბრიკის კომკავშირელები ბეჯითად სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. საქსოი საამქროს კომკავშირის წრის მეცადინეობას, რომელსაც საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორგანონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ფარულავა ხელმძღვანელობს. თითქმის ყველა მსმენელი ესწრება. კავშირგარეშე ახალგაზრდები ვ. სტეფანოვა, ნ. ლაპაშვილი და სხვები ჩაბმული არიან სოცშეჯიბრებაში და ნაკისრ ვალდებულებებსაც წარმატებით ანაღდებენ.

ფაბრიკასთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოსწავლეებმა გამოუშვეს სპეციალური კედლის გაზეთი, მიძღვნილი საკ. ალკკ XXV წლისთავთან დაკავშირებით სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შეასრულებისადმი. სკოლის მოსწავლეებმა ა. ჰიტლეტოვამ, ზ. ტრიმოსოვამ, ლამარა იმერლიშვილმა და სხვებმა საწარმოო დავალებები 110-120 პროცენტით შეასრულეს.

აბრეშუმის საქსოი ფაბრიკის ახალგაზრდობა ახალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდება ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვან XXV წლისთავს.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველები ლიდა ციცქიშვილი და ეენია გიგაური სამუშაოზე. ფოტო ვ. გინზბურგისა.

დეკალები

ამერიკის შეერთებულ შტატებში მზადდება ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კონგრესი

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე და გავლენიანი ორგანიზაცია მზრს უჭერს ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კონგრესისათვის მზადების კამპანიას, რასაც ატარებს „საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობის ნაციონალური საბჭო“. კონგრესი შესდგება ნიუ-იორკში 6, 7 და 8 ნოემბერს. მხარს უჭერენ აგრეთვე მზადებას ანალოგიური კრებებისათვის, რომლებიც უნდა გაიმართოს მთელ შეერთებულ შტატებში.

ამერიკის ხელოვნების უდიდესმა მუზეუმმა „მეტროპოლიტენმა“, რომელიც ნიუ-იორკშია, გამოაცხადა, რომ 4 ნოემბერს გაიხსნება საბჭოთა ფოტოგრაფიებისა და სამხედრო პლაკატის დიდი გამოფენა.

ბევრი თვალსაჩინო ამერიკელი მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას რამდენიმე სპეციალურ სამეცნიერო სესიაში, რომლებიც მიეძღვნება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა შესწავლას.

„საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს“ ადგილობრივი განყოფილებანი ამერიკის შეერთებული შტატების 45 ქალაქში ჩაატარებენ კრებებს, რომლებიც მიეძღვნება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების წლისთავს. მასობრივი მიტინგები შესდგება ბოსტონში, ფილადელფიაში, დეტროიტში, კლივლენდში, ჩიკაგოში, ლოს-ანჯელესსა და სან-ფრანცისკოში.

ჰიტლერელთა მხეცობა იტალიაში

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ნეაპოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჰიტლერელებმა კაიაცოდან (მდინარე ვოლტურნოს ჩრდილოეთით) უკანდახევის წინ გაძარცვეს და დასწვეს მთელი ქალაქი. ჰიტლერელები ჰკლავდნენ იტალიელთა მთელ ოჯახებს, მათ შორის ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ თავისი ქონების დატაცებისათვის. ამერიკელმა კორესპონდენტებმა, რომლებიც ქალაქში მოკავშირეთა ჯარებთან ერთად შევიდნენ, მის ქუჩებში ნახეს ჰიტლერელების მიერ მოკლულ მშვიდობიან მოქალაქეთა გვამები.

უცხოეთის ქრონიკა

ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი წარმატებით უჩვენებენ საბჭოთა ფილმს ჰიტლერელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე პარტიზანთა ბრძოლის შესახებ. ბევრი გაზეთი აღფრთოვანებულ სტატიას უძღვნის სურათს.

ფილმს სტალინგრადის დაცვის შესახებ, რომელსაც ხუთი კვირის განმავლობაში უჩვენებდნენ ნიუ-იორკის ერთ-ერთ უდიდეს კინოთეატრში, ამუამად ამერიკის შეერთებულ შტატების სხვა ქალაქების კინოთეატრებში უჩვენებენ.

* * *

ბელგიაში ფართოდ არის გავრცელებული ანალეგალური პატრიოტული გაზეთები. გაზეთი „პეპლი“, რომელიც ანალეგალურად გამოდის, 20.000 ცალად იბეჭდება. გაზეთი „მონდ დე ტრავაი“ — 15.000 ცალად.

* * *

ლონდონში გამოცხადებულია, რომ გენერალ-ლეიტენანტი პოუნოლი დანიშნულია მოკავშირეთა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმაღლესი სარდლობის შტაბის უფროსად. ამერიკის არმიის გენერალ-მაიორი უდიდმეიერი დანიშნულია მოკავშირეთა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმაღლესი სარდლობის შტაბის უფროსის მოადგილედ.

* * *

ინგლისის ლიბიის მე-8 არმიის ყოფილი სარდალი გენერალი კენინგჰემი დანიშნა ინგლისის ჯარების სარდლად ჩრდილოეთ ირლანდიაში.

* * *

ამ ცოტა ხნის წინათ ჩრდილო-დასავლეთ ინგლისის ერთ-ერთ ნავსადგურში ჩავიდა ამერიკის ჯარების ახალი კონტინგენტი.

* * *

ინგლისში ჩავიდა საფრანგეთიდან გაქცეულ ფრანგ მოღვაწეთა ჯგუფი. ჩასულთა შორის არიან: საფრანგეთის პარლამენტის ოთხი წევრი, რამდენიმე პროფესორი, აგრეთვე არალეგალური პატრიოტული მოძრაობის მთელი რიგი მოღვაწენი. ლონდონში ჩავიდა აგრეთვე ერთი ფრანგი გენერალი, რომელიც ვიშის საპატიმროდან გაიქცა.

* * *

პარიზში ლავალის „მთავრობასა“ და ჰიტლერის მთავრობის წარმომადგენელთა შორის სწარმოებს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ საფრანგეთში გამოცხადდეს მუშახელის ახალი მობილიზაცია გერმანიაში სამუშაოდ.

22 ოქტომბერი. (საკდესი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარება განთავისუფლებულ რაიონებს. პენზის ოლქიდან კურსკის ოლქში გაგზავნილ ტრაქტორების ეშელონი. ფოტო ნ. ხიტნიკოვისა

ქრამაგორსკის აღორძინება

ცხოვრება განთავისუფლებული ქალაქისა, რომელიც თითქმის ორ წელიწადს იმყოფებოდა გერმანელ ფაშისტთა უღელქვეშ, ღღითი ღღე უფრო და უფრო სისხლსავსე ხდება. შეკეთებულია ხიდები, წესრიგში მოყვანილია გზები. ამუშავდა დიდი პურსაცხობი, რძის ქარხანა, ხორცკომბინატი, მოწყობილია 7 საავადმყოფო, გაიხსნა და მუშაობს საშუალო და დაწყებითი სკოლები.

გერმანელთა ოკუპაციის დროს ნოვოკრამატორსკის სტალინის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნისა და სტაროკრამატორსკის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხელში ჩაგდების ცდილობდა გერმანული ფირმა კრუპისა. მაგრამ ოკუპანტებმა ვერ მოახერხეს თუნდაც ნაწილობრივ აღედგინათ ეს საწარმოები. ერთადერთი, რაც მათ გააკეთეს, ის იყო, რომ მთელ რიგ საამქროებში მოაწყეს შინამრეწველური წისქვილები სიმინდის დასაფქვავად, ზეთსახდელი და არყის სახდელი დანადგარები. უკანდახევის წინ გერმანელები ცდილობდნენ დაენგრიათ ეს ქარხნები. წითელი არმიის სწრაფი შეტევის გამო ჰიტლერელებმა ვერ მოახერხეს თავიანთი ავაზაკური გეგმის შესრულება.

ქალაქის განთავისუფლების პირველი დღეებიდანვე ათასობით მშრომელნი შეუდგნენ ქარხნების აღდგენას. (საკდესი).

მწერლები—სამხედრო გაზეთებს

სამხედრო გაზეთებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად და მათთვის დახმარების აღმოსაჩენად საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირმა ქართულ სამხედრო გაზეთებს მიამაგრა მწერლები: შ. დადიანი, ბ. ჟღენტი, ა. აბაშელი, ი. მოსაშვილი, ი. გრიშაშვილი, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი, ს. თავაძე, რ. გვეტაძე, შ. აფხაიძე, ვ. გაბესკირია, ს. ეული, რ. ქორქია, ვ. წულუკიძე, კ. ჯალაძე.

გ. ჯაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავი

წელს შესრულდა გალაქტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50 წელი და ლიტერატურულ მოღვაწეობის 35 წელი. ამ თარიღების აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა გამოჰყო კომისია შ. რადიანის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან: შ. დადიანი, ი. აბაშიძე, ბ. ჟღენტი, ს. ჩიქოვანი, ს. ეული და რ. გვეტაძე.

„ლიტერატურა და ხელოვნება“

22 ოქტომბერს გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო—გაზეთ „ლიტერატურისა და ხელოვნების“ პირველი ნომერი. ეს ორგანო „ლიტერატურული გაზეთის“ ნაცვლად გამოდის. ნომერში მოთავსებულია: მეთაური „ჩვენი გ. ზეთი“, ა. მაშაშვილის ლექსი „ომი და მშვიდობა“, დ. შენგელაიას მოთხრობა „გაზაფხული“, გრ. აბაშიძის ლექსი „დროშები“, ბ. ჟღენტის წერილი „ისტორიის მებრძოლი სული“, ა. საჯაიას ლექსი „დაჭრილი მეომრის წერილი“, დ. ჯანელიძის და შ. აფხაიძის რეცენზიები რუსთაველის თეატრის პრემიერაზე „კრწანისის გმირები“, გ. გოგოძის წერილი „ლექსები სანგრებში“ და რამდენიმე პატარა წერილი და ქრონიკები. გაზეთის მესამე გვერდი მთლიანად მიძღვნილია ზ. ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. გვერდში მოთავსებულია ლ. დონაძის წერილი, ზ. ფალიაშვილის ავტობიოგრაფია, თარიღები და მიწერ-მოწერა.

თბილისის ცირკის სეზონის გახსნა

21 ოქტომბერს გაიხსნა თბილისის ცირკის 1943-44 წლის საზამთრო სეზონი. პროგრამა დაიწყო პროლოგითა და პარადით. პირველ განყოფილებაში მონაწილეობდნენ: ბაცევიჩი (აკრობატული ეტიუდი), მიხაილოვსკი (ჟონგლიორობატი), ზაინულინა თავისი გაწვრთნილი ძაღლებით, მილაევები (ეკვილიბრისტები) და ბოროვაკოვი და მიხაილოვი (ანტრე).

მეორე განყოფილებაში მაყურებელთა ყურადღება მიიპყრეს ზ. და პ. ლაგოვებმა (მუსიკალური ეტიუდი), ზოლოტარიოვებმა (ჟონგლიორები), მანიონმა და გალეევიჩმა (აკრობატები) და ვოლკანსკებმა („ბაყაყები“).

მიუხედავად ცუდი ამინდისა, სეზონის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო. ამ დღეებში ცირკის პროგრამა შეიცვლება ახალი ნომრებით: ჩამოვლენ ცხომელიძის ანსამბლი და ჯამბაზი ალი-ხანი.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

თეატრებში

23 ოქტომბერს: **სახალხო**—„ფაუსტი“. **რუსთაველის**—„კრწანისის გმირები“. **მარჯანიშვილის** — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. **გრიბოედოვის** — „ინეინერი სერგეევი“. **სომხური** — „დავიდ ბეგ“. **ახალგაზრდა სახ.** — „ინტო“. **მუსკომედიის**—„სილვა“.

კინოებში

23 ოქტომბერს: **რუსთაველის სახ.**—„ნასრედინი ბუხარაში“. **ოქტომბერი** — „სახალხო შურისმგებლები“. **კომკავშირელი** — „ორიოლის ბრძოლა“. **სპარტაკი**—„ბისია მოსკოვში“. **ლუქსემბურგის სახ.**—„სიმღერა სიყვარულზე“.

23 ოქტომბერს, საღ. 6 საათზე, ლ. პ. ბერიას სახ. კულტურის სახლში მოწვეულია საქ. სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მე-7 ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგი:

1. სარეწაო კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის ანგარიში, 2. სარეწაო კავშირის წესდების განხილვა-დამტკიცება, 3. არჩევნები: ა) სარეწაო კავშირის საბჭოს შემადგენლობისა და ბ) სარევიზიო კომისიისა.

საქ. სარეწაო კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგეისა და გამომწვევების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტენოს. დირექტორის—3-77-70.

ომის ვადების შესახებ

ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ჰარი ჰოპკინსმა, რომელიც ცნობილია როგორც გერთიანებულ ერთა საქმისათვის აქტიური მებრძოლი, ამას წინათ ჟურნალ „ამერიკენ მეგეზურში“ მოათავსა ომის პერსპექტივებისადმი მიძღვნილი სტატია. ავტორი უეჭველად მართალია, როდესაც იწამებრებს იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელნიც მიდრეკილებას იჩენენ ჯეროვნად არ შეაფასონ მტრის ძალები და მოელოდნენ „იოლ გამარჯვებას“, მაგალითად, მარტოოდენ საჰაერო დაბომბვათა გზით. მაგრამ სწორი მტკიცებიდან, რომ მტერი ჯერ კიდევ ძლიერია, ავტორს გამოჰყავს დასკვნა, რომ მოკავშირეებს ჯერ კიდევ მოელით, სულ მცირე, ორი წლის მძიმე ბრძოლა მსოფლიო ომის ფრონტებზე. ავტორს მიაჩნია, რომ ამ ახრს ამერიკელი სამხედრო წრეებიც იზიარებენ. „მე ვფიქრობ,—სწერს იგი,—რომ ჩვენ მივაღწევთ გამარჯვებას 1945 წელს როგორც გერმანიის წინააღმდეგ, ისე იაპონიის წინააღმდეგ. მე არ მიმაჩნია, რომ ამ ახრს ამერიკელი სამხედრო ხანგრძლივი ვადაა ასეთი გამარჯვებისათვის“.

ამრიგად, ჰ. ჰოპკინსის აზრით, ომი ევროპაში სულ მცირე ექვს წელიწადს გასტანს. მას ეს ვადა მეტისმეტად ხანგრძლივად არ მიაჩნია, ოღონდ ეს ვადა ასეთი შეუპოვარ მტერთან ბრძოლის სიძნელეებს, როგორიც არის ჰიტლერული გერმანია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი თვალსაზრისი საქმისადმი საკმაოდ ცალმხრივ მიდგომას გამოხატავს. რა თქმა უნდა, ვიწრო სამხედროტექნიკური თვალსაზრისით შეიძლება ფრიად წარმტაცად გეჩვენოს ომის წარმოების ისეთი წესი, რომლის დროსაც მშვიდად, აუჩქარებლად, მომზადებული იქნება უდიდესი არმიები, რომლებსაც უმაგალითო რიცხობრივი და ტექნიკური უპირატესობა ექნებათ მოწინააღმდეგეზე, და მხოლოდ შემდეგ შეუდგებიან ეს არმიები გადამწყვეტ ბრძოლას მტერთან. შესაძლოა, საქმისადმი ასეთი მიდგომისას კიდევ ორი წელიწადი ორც თუ იმდენად ხანგრძლივი ვადა იყოს. მაგრამ ომის შემდგომ მსგელლობაზე ასეთი წარმოდგენა ვერ მოიცავს ზოგიერთ სხვა მხარეს, რომლებიც არა ნაკლებად მნიშვნელოვანია გაჭიანურებული ომის პირობებში. ომი ხომ არა მარტო სამხედრო მანქანათა გიგანტური შეჯახებაა. ომი თავისი საფუძვლით არის სოციალური, პოლიტიკური მოვლენა, ხოლო თანამედროვე ომს მოძრაობაში მოჰყავს მრავალი ათეული და ასეული მილიონი ადამიანი მთელ მსოფლიოში, იგი ძირფესვიანად სცვლის მათი არსებობის პირობებს, აიძულებს მათ სხვანაირად იფიქრონ და იმოქმედონ. ომი ამწვავებს თანამედროვე სახოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებს; იგი ამწვავებს მათ და იწვევს ახალ მწვავე პოლიტიკურ პროცესებს მით უფრო მეტად, რაც უფრო დიდხანს ჭიანურდება. საქმის ეს მხარე, ცხადია, არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნას ომის პერსპექტივების და განსაკუთრებით მისი ვადების საკითხის განხილვისას.

საბჭოთა კავშირის პოზიცია ომის ვადების საკითხში სავსებით ნათელია. ჩვენი ქვეყანა უკვე მესამე წელია აწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, როცა მის წინააღმდეგ დგას ჰიტლერული სამხედ